წერითი შემაჯამებელი შეფასებისას წარმოქმნილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები ქართულ ენასა და ლიტერატურაში

/კვლევის ანგარიში/

გულთამზე აბულაძე

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლა

2018 წელი

სარჩევი

1. შესავალი ---------- /გვ.: 3-4/

/აქტუალურობა, მიზანი, სტრუქტურა, ძირითადი დასკვნები/

2. ლიტერატურის მიმოხილვა ---------- /გვ.: 4-6/

3. კვლევის დიზაინი ---------- /გვ.: 6-16/

/საკვლევი კითხვები, სამიზნე ჯგუფი, კვლევის მეთოდები, მონაცემთა ანალიზი, ძირითადი მიგნებები, ინტერვენციები/

4. ინტერვენციები/ შეფასება/

რეკომენდაციები ---------- /გვ.: 16-17/

5. დასკვნა ---------- /გვ.: 18/

6. რეფლექსია/ კოლეგებთან გაზიარება ---------- /გვ.: 18-19/

7. ბიბლიოგრაფია ---------- /გვ.: 20/

8. დანართი ---------- /გვ.:21-22/

შესავალი

მასწავლებლის საქმიანობა მოსწავლეთა სწავლა/სწავლების პროცესის კარგად გააზრებას უნდა დაეფუძნოს და მათი საჭიროებების დადგენის შესაბამისად იგეგმებოდეს სასწავლო პროცესი.

მოსწავლეების შეფასება სწავლა - სწავლების პროცესის გაუმჯობესების ერთ - ერთი მთავარი საშუალებაა. მოსწავლეები სასწავლო წლის განმავლობაში ფასდებიან როგორც საკლასო აქტივობებსა და საშინაო დავალებებში აქტიურობის საფუძველზე, ისე შემაჯამებელ წერების მეშვეობითაც. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა შეფასებას სამივე მიმართულებით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში წერისა და ზეპირი დავალებების შედეგად მიღებული ქულები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ეს არ არის ერთი დღის ან ერთი თემის შემდეგ წარმოჩენილი პრობლემა. ხშირად მოსწავლეები დაბალ შეფასებას ღებულობენ შემაჯამებელ წერაში მაშინ, როცა საკლასო აქტივობებში მოსწავლეთა ქულები გაცილებით მაღალია (რაც შეეხება საშინაო დავალებას, ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია და ამ საკითხის შესწავლა შემაჯამებელ წერასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევასთან ერთად შორს წაგვიყვანდა). წინამდებარე ნაშრომი არის პრაქტიკული კვლევის ანგარიში. ნაშრომში განხილულია შემაჯამებელი წერითი დავალების შესრულებისას წარმოქმნილი პრობლემები და ამ პრობლემების გადასაჭრელად დაგეგმილი და განხორხიელებული ცვლილებები.

2017-2018 სასწავლო წლის განმავლობაში ყურადღებით ვაკვირდებოდი მე-11 კლასის მოსწავლეთა საკლასო აქტივობებისა და შემაჯამებელი წერების შედეგების შესაბამისობას. აშკარა იყო, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას საკლასო აქტივობაში უფრო მაღალი შედეგი ჰქონდა, ვიდრე - შემაჯამებელ წერაში. საჭირო იყო შემაჯამებელი წერის ხარისხზე გარკვეული მონიტორინგი. თითქოს ბუნებრივად გამოიკვეთა საზრუნავი - როგორ გავაუმჯობესო შემაჯამებელი წერის შესრულების ხარისხი ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ბევრჯერ მიფიქრია რატომ არის განსხვავებული საკლასო აქტივობისა და შემაჯამებელი წერის შეფასება ხშირად განსხვავებული, რა უშლით ხელს მოსწავლეებს იგივე შეფასება მიიღონ წერითი დავალებების შესრულებისას, რასაც ღებულობენ საკლასო აქტივობებში მონაწილეობისას. დავფიქრებულვარ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. მიზნად დავისახე სასწავლო საჭიროებების ზუსტი დიაგნოსტირება, კონკრეტული მიზეზების ძებნა და გადაჭრის გზების ძიება. უპირველესად, ვაკვირდებოდი საკუთარ პრაქტიკას. გარდა ამისა, თვალი მივადევნე სხვა ფილოლოგიურ დისციპლინებსაც: რუსულ და ინგლისურ ენებს, ამ საგნებში მე-11 კლასის მოსწავლეთა შემაჯამებელი წერის შედეგებს. ვცდილობდი ამ საკითხებზე გამეზიარებინა სხვათა გამოცდილება და სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვით დავინტერესებულიყავი.

ძირითადი დასკვნები: მეთერთმეტე კლასში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე (რომელიც მოიცავდა პრობლემის შესწავლის, ცვლილებების დაგეგმვა-განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს).
შეგვიძლია დავასკვნათ:

- მოსწავლეები არ იჩენენ სათანადო სიფრთხილეს წერითი დავალების შესრულებისას;
- მოსწავლეები მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად საკლასო გარემოს ასახელებენ;
- ძირითად შემაფერხებელ ფაქტორთან ერთად ასახელებენ სხვა ფაქტორებსაც და არა კონკრეტულ მიზეზს, თუ რა უშლით ხელს შემაჯამებელი წერისას მაღალი შეფასების მიღებაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

გარკვეული სასწავლო მონაკვეთის შესწავლა-დამუშავების შემდეგ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს მოეთხოვებათ შემაჯამებელი დავალებების ჩატარება. შემაჯამებელი სამუშაო მასწავლებელს უქმნის გარკვეულ წარმოდგენას რამდენადაა დაძლეული სასწავლო ერთეული , რამდენად გამოჩნდა სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და/ან უნარ-ჩვევები სასწავლო წლის კონკრეტულ ეტაპზე.

შემაჯამებელი დავალებები უნდა ამოწმებდეს საგნის სტანდარტით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში ფორმის თვალსაზრისით შემაჯამებელი სამუშაო შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერი მიმართულებით, იქნება ეს ზეპირმეტყველება, წერა თუ კითხვა (ლომიძე, 2017, www.mastsavlebeli.ge).

ქართულ ენასა და ლიტერატურაში შესაძლებელია შემდეგი ტიპის შემაჯამებელი დავალებების გამოყენება:

- მხატვრული/არამხატვრული ტექსტის ანალიზი;
- მხატვრული/არამხატვრული ტექსტის წაკითხულის გააზრება;
- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა;
- არგუმენტირებული მსჯელობა კონკრეტული საკითხის/თემის შესახებ;
- სხვადასხვა სახის ტექსტებიდან ტესტური დავალებები;
- ესეს შედგენა;
- სხვა.

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი წერა? - დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების რუბრიკა. 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე. ასევე, მასწავლებელი განსაზღვრავს სტანდარტის იმ შედეგებს, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება. მაგალითად, თუ მასწავლებელმა საშუალო საფეხურზე (კერძოდ, მე-11

კლასში) შეარჩია წერითი შემაჯამებლის ფორმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში სტანდარტის თანახმად შეესაბამება შემდეგ გრაფებს:

ქართ. XI. 9. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების წერილობით გაანალიზება.

ქართ. XI. 10. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ესეის დაწერა.

ქართ. XI. 11. მოსწავლეს შეუძლია რეცენზიის დაწერა წაკითხულ წიგნზე ან მხატვრულ ნაწარმოებზე.

ქართ. XI. 12. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ხასიათის არამხატვრული ტექსტების შეთხზვა.

ქართ. XI. 13. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად გამოიყენოს სათანადო ენობრივ-გრამატიკული საშუალებები სხვადასხვა სახის ტექსტების შესაქმნელად.

ქართ. XI. 14. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის.

შეფასების რუბრიკის შედგენისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სამსჯელო საკითხი, კლასში ჩატარებული სამუშაოები, კონკრეტული კლასის საჭიროებები. საჭიროა, შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობა მოსწავლეებისათვის. შესაძლებელია მასწავლებელმა გამოიყენოს მსგავსი რუბრიკა:

- მსჯელობის ორგანიზება (2 ქ.);
- არგუმენტაცია ტექსტობრივი მასალის გამოყენებით (2 ქ.);
- დამოუკიდებელი აზროვნება - აზროვნების არაშაბლონურობა და ორიგინალურობა (2 ქ.);
- ადეკვატური სტილისა და ლექსიკის შერჩევა (2 ქ.);
- ენობრივი გამართულობა (2 ქ.).

რაც შეეხება დოკუმენტურ მასალას, რომელმაც უნდა დაადასტუროს ჩატარებული შემაჯამებელი წერა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მეოთხე თავი მოსწავლის შეფასების სისტემას ეძღვნება. მეთვრამეტე მუხლში აღნიშნულია:

თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, შეაგროვოს და შეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაო.

წერითი შემაჯამებელი სამუშაოს მომდევნო ეტაპია შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი სტანდარტთან მიმართებით, რაც მოსწავლეთა აკადემიური დონის დადგენასთან ერთად მომავალი შედეგების პროგნოზირებისა და სასწავლო პროცესის კორექტირების საშუალებას იძლევა. იმავდროულად ეხმარება მასწავლებელს საკუთარი პროფესიული საჭიროებების დადგენასა და სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებაში. ყოველი შემაჯამებელი სამუშაოს დაგეგმისას მასწავლებელი კიდევ ერთხელ უბრუნდება საგნობრივ სტანდარტს და მონიშნავს იმ შედეგს (ინდიკატორს/ ინდიკატორებს), რომელთა მიღწევის დონის შეფასებაც მიაჩნია საჭიროდ.

განსაზღვრავს იმ ცოდნის არეალს და უნარების ჩამონათვალს, რომლებიც შემაჯამებელი სამუშაოთი უნდა შეფასდეს. შეფასების თითოეულ ფორმაზე მასწავლებელს შემუშავებული უნდა ჰქონდეს სქემები/რუბრიკები, რომლებიც წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეებისთვის (და არა მარტო; მშობლებისთვისაც). შემაჯამებელი შეფასების თარიღისა და ფორმის შესახებ მოსწავლეებმა მინიმუმ ერთი კვირით ადრე უნდა იცოდნენ (ინასარიძე, 2014, www.mastsavlebeli.ge).

კვლევის დიზაინი

პრობლემა და საკვლევი საკითხი/ პრობლემის შერჩევა

პრაქტიკული კვლევა ჩატარდა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლაში. სკოლას ჰყავს 104 მოსწავლე, რომელთაგანაც 21 მეთერთმეტე კლასშია, სადაც კვლევა მიმდინარეობდა.

ჩატარებული პრაქტიკული კვლევა გამომდინარეობს სკოლის საჭიროებიდან. დირექტორთან, კლასის დამრიგებელსა და მე-11 კლასის სხვადასხვა მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ, დადგინდა, რომ სკოლაში რეალურად არსებობდა პრობლემა. დირექტორთან, მასწავლებლებსა და კლასის ხელმძღვანელთან გასაუბრების შემდეგ გამოითქვა ვარაუდები, რომ პრობლემის გამომწვევი ფაქტორები შესაძლოა იყოს, მაგ.:

- გაცდენების სიმრავლე;
- საკითხის სირთულე;
- მსჯელობის წერილობითი ორგანიზების სირთულე;
- მწირი ლექსიკა;
- ენობრივი გაუმართაობა;
- დროში შეზღუდულობა;
- ზერელე ცოდნა ტესტური დავალებების შესრულებისას;
- სხვა.

მე-4 და მე-5 კრიტერიუმები ყველაზე მეტად გასათვალისწინებელია მოსწავლეებისათვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების დროს.

მაგალითად, მოსწავლეები ქართულ ენასა და ლიტერატურაში შემაჯამებელი წერის დროს თანმიმდევრულად მსჯელობენ; ტესტური დავალების შესრულებისას ავლენენ დეტალების ცოდნას; სათქმელის გადმოსაცემად გამოიყენებენ სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიასა და კონსტრუქციას; თავს არიდებენ სტილისტურ ხარვეზებს და ცდილობენ, სათქმელი გაჯერებული იყოს ლექსიკური მრავალფეროვნებით. გარდა ამისა, ითვალისწინებენ დროის ლიმიტს, მაგრამ

ყოველივე ზემოთხსენებული უფრო კარგად გამოსდით ზეპირმეტყველებისას, თუნდაც ზეპირი შემაჯამებელი დავალებების შესრულებისას, ვიდრე შემაჯამებელი წერის დროს.

რა შეიძლება იყოს პრობლემის გამომწვევი მიზეზი? პრობლემის ზუსტად განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ჩამოვაყალიბოთ **კვლევის მთავარი კითხვა.**

რატომ აქვთ მოსწავლეებს შედარებით დაბალი შეფასება შემაჯამებელ წერებში საკლასო აქტივობებსა და საშინაო დავალებებთან შედარებით?

საკვლევი პრობლემის აქტუალობის დასადგენად ინტერვიუ ვაწარმოეთ მეთერთმეტე კლასის მასწავლებლებთან. მასწავლებლებთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად შევჯერდით, რა არის გასაუმჯობესებელი და რა შეიძლება იყოს აღნიშნული პრობლემების გამომწვევი მიზეზები.

მეთოდოლოგია

ამ თავში განხილულია საკვლევი საკითხი და ქვეკითხვები, მოცემულია, კვლევის დიზაინი და კვლევის გეგმა. წარმოდგენილია ინფორმაცია კვლევის ჯგუფის ჩამოყალიბებისა და მუშაობის ეტაპების შესახებ. ასევე განხილულია, კვლევისათვის მონაცემთა შეგროვების მეთოდები. პედაგოგთა ჯგუფმა საკვლევი საკითხი შემდეგნაირად ჩამოვყალიბეთ: „წერითი შემაჯამებელი შეფასებისას წარმოქმნილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევის მთავარი კითხვაა - რატომ აქვთ მოსწავლეებს შედარებით დაბალი შეფასება შემაჯამებელ წერებში საკლასო აქტივობებსა და საშინაო დავალებებთან შედარებით? კვლევის მთავარ კითხვაში აღნიშნული პრობლემების მიზეზების დადგენაში დაგვეხმარება შემდეგ ქვეკითხვებზე პასუხის გაცემა:

- რამდენად მომზადებული ხვდებოდა თითოეული მოსწავლე შემაჯამებელ წერას;
    - თუ მოუმზადებელი იყო, რა უშლიდა ხელს?

- წინასწარ აცნობდნენ თუ არა მასწავლებლები მოსწავლეებს შეფასების სქემებს და გასაგები იყო თუ არა მათთვის შეფასების კრიტერიუმები?

- რამდენად ხშირად აანალიზებდნენ მასწავლებლები შემაჯამებელ წერებს;
    - თუ აანალიზებდნენ, რა ფორმით?
    - ხომ არ ავსებდნენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის სარეკომენდაციო ფორმას?

- რამდენად ხშირად აძლევდნენ მასწავლებლები მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას;
    - თუ აძლევდნენ, რა ფორმით?
    - თუ არ აძლევდნენ რა იყო ამის მიზეზი?

- რამდენად აკმაყოფილებს მასწავლებლების მიერ გაცემული განმავითარებელი კომენტარები ეფექტიანი უკუკავშირის კრიტერიუმებს?

- უზიარებდნენ თუ არა პედაგოგები ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას წერითი შემაჯამებელი სამუშაოს პროცესში წარმოქმნილი სირთულეებისა და მათიგადაჭრის გზების შესახებ?

აღნიშნულ კვლევაზე პასუხის გასაცემად შევიმუშავეთ კვლევის გეგმა.

კვლევის გეგმა

კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენეთ **ფოკუსჯგუფი, ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილებზე, კითხვარები, მეორადი მონაცემების ანალიზი და ჩაღრმავებული ინტერვიუები.**

ფოკუსჯგუფი ჩატარდა სკოლის დირექტორსა და მე-11 კლასის დამრიგებელთან, რომლის მიზანიც იყო შემაჯამებელ წერასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა. ეს დაგვეხმარა კვლევის სწორად წარმართვასა და კითხვარის მომზადებაში.

კითხვარები მომზადდა მე-11 კლასის მასწავლებლებისათვის. შემუშავდა კითხვარი, რომელიც პედაგოგებს გავატანეთ 3-4 დღის განმავლობაში, რადგან ყველა მასწავლებელი ყოველდღიურად არ მუშაობს სკოლაში. ეს დრო მათ შესაძლებლობას აძლევდა სრულად და ყურადღებით შეევსოთ კითხვარი. კითხვარი გადავეცით ინგლისური და რუსული ენის მასწავლებლებს, ვინაიდან მსგავსი პრობლემის წინაშე ისინიც დგანან. კონსულტაცია გავიარე ქართულის, რუსულისა და ინგლისური ენის სხვა პედაგოგებთანაც. მართალია, ისინი არ ასწავლიან მე-11 კლასს, მაგრამ მათი, როგორც ფილოლოგების, აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. პედაგოგები ინტერესით მოეკიდნენ აღნიშნულ დავალებას, შევსებული კითხვარები დროულად დააბრუნეს. ასევე ნაყოფიერი აღმოჩნდა კონსულტაციებიც. მიგვაჩნია, რომ მიღებული კითხვარები ზოგად წარმოდგენას ქმნის შემაჯამებელი წერის პრობლემებთან დაკავშირებით მე-11 კლასში სხვადასხვა საგნის მიხედვით.

ინტერვიუმ სკოლის მოსწავლეებთან საშუალება მოგვცა გაგვეგო მოსწავლეთა დამოკიდებულება წერითი შემაჯამებელი შეფასებისას წარმოქმნილი პრობლემების გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით. ასევე დაგვეხმარა, რამდენად ნათელია

მათთვის წერითი შემაჯამებელი სამუშაოს მნიშვნელობა, მიზნები და შეფასების კრიტერიუმები. ინტერვიუ ჩატარდა მაღალი, საშუალო და დაბალი აკადემიური მოსწრების სამ - სამ მოსწავლესთან.

კითხვარის შევსება პირისპირ ინტერვიუს საფუძველზე მე-11 კლასის დამრიგებელთან ჩატარდა, რომელიც მათ გეოგრაფიას ასწავლის. შევავსეთ წინასწარ მომზადებული კითხვარი. ამით შევძელით შეგვეგროვებინა ინფორმაცია:

- მოსწავლეებს ზოგადად უჭირთ აზრის წერილობით ჩამოყალიბება;
- მოსწავლეებისათვის რთულია თანმიმდევრული და ამომწურავი მსჯელობა საკითხის ირგვლივ;
- მოსწავლეები შემაჯამებელი წერის შესრულებისას ხშირად საჭიროებენ დროს დამატებას.

დამრიგებლის აზრით, ამის მიზეზია მოსწავლეებში მართლწერის საკითხების მწირი ცოდნა; მოსწავლეთა ნაკლები ინტერესი კლასგარეშე ლიტერატურისადმი, რაც ხელს უწყობს თავისუფალი აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის ჩამოყალიბებას.

ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილებზე - ეფექტური უკუკავშირის კრიტერიუმებზე დაყრდნობით დავაკვირდით საგაკვეთილო პროცესებს მე-11 კლასში წერითი შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების შემდეგ. დავაკვირდით თითოეული მასწავლებლის 2-2 გაკვეთილს მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი კომენტარების ეფექტიანობის დასადგენად.

მეორადი მონაცემების ანალიზი - წერითი შემაჯამებელი სამუშაოს შემდეგ განმავითარებელი კომენტარების გასაცნობად შევაგროვეთ მე-11 კლასის მასწავლებლების მიერ დაწერილი განმავითარაბელი შეფასებები. მონაცემები შევკრიბეთ მე-11 კლასის მოსწავლეების სხვადასხვა საგნის რვეულებიდან. ჩვენი მიზანი იყო, დავკვირვებოდით კონკრატულად რა მოცულობისა და შინაარსის კომენტარებს წერდნენ პედაგოგები.

მონაცემთა ანალიზი

ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზისას გამოვლინდა, რომ განმავითარებელი შეფასება ზოგადია და თითოეული მოსწავლის შეცდომის ანალიზს არ მოიცავს. დავალებების მრავალფეროვნება, რომელიც მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდას ემსახურება, ხშირად დავალებების სიმრავლის მიზეზი ხდება. ყოველივე ამას ემატება მოსწავლეთა გაცდენები, რაც ართულებს არამარტო შემაჯამებელი წერის ხარისხინად შესრულებას, არამედ ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესის ნორმალურ მსვლელობასაც.

მასწავლებელთა კითხვარის შედეგი:





კითხვარების შედეგები

- პედაგოგების 50% ყოველთვის აცნობს მოსწავლეებს შეფასების მიზნებსა და კრიტერიუმებს წერითი შემაჯამებელი სამუშაოს დაწყებამდე
- პედაგოგების 25% ზოგჯერ აძლევს განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეებს





კითხვარების შედეგები

- **პედაგოგების 84% ზეპირი კომენტარით აძლევს მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას წერითი შემაჯამებელი სამუშაოს შემდეგ. აქედან გამომდინარე, არ ავსებდნენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის სარეკომენდაციო ფორმას**
- **პედაგოგების მხოლოდ 16% აწვდის მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას წერილობით**
- **პედაგოგების 100%-ს მიაჩნია მნიშვნელოვნად ქულასთან ერთად მოსწავლისათვის განმავითარებელი შეფასების გაკეთება**

მოსწავლეთა კითხვარის მონაცემთა ანალიზი





კითხვარების შედეგები

- მოსწავლეთა 78% თვლის, რომ შემაჯამებელი წერის უკეთესად წარმართვაში ხელს უშლის საკლასო გარემო
- მოსწავლეთა 22% თვლის, რომ შემაჯამებელი წერის უკეთესად წარმართვაში ხელს უშლის ზერელე ცოდნა
- მოსწავლეთა 45%-სათვის ტესტები რთულად შესასრულებელი სამუშაოა სხვა დავალებებთან შედარებით
- მოსწავლეთა 33%-სათვის ტექსტის ანალიზია რთული
- მოსწავლეთა 22%-სათვის ესე არის რთული დავალება



კითხვარის შედეგები

- **მოსწავლეთა 89% თვლის, რომ განმავითარებელი შეფასება მათ ეხმარებათ შემდგომი დავალების უკეთესად შესრულებაში**
- **მოსწავლეთა 11% თვლის, რომ განმავითარებელი შეფასება არაფრის მომცემია და უბრალოდ დროის დაკარგვაა**

მოსწავლეებმა აზრი გამოთქვეს ღია კითხვაზე: **რის შეცვლას ისურვებდით წერითი შემაჯამებლის ფორმაში**. მოსწავლეთა ნაწილმა აღნიშნა, რომ შემაჯამებელ წერაზე ტესტური დავალებების ხვედრითი წილი სხვა დავალებებთან შედარებით გაცილებით მეტი იყოს. ზოგიერთი მოსწავლის სურვილია ტესტური დავალებები იყოს ინდივიდუალურად შედგენილი და გათვალისწინებული იყოს მათი შესაძლებლობები.

კვლევის მიგნებები

კვლევის მსვლელობის დროს მონაცემთა ანალიზისა და ინტერვიუების შემდეგ გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- გამოცდილების გაზიარების ნაკლებობა პედაგოგებს შორის;
- პედაგოგების მაღალი მოლოდინი მოსწავლეების მიმართ;
- წერილობითი განმავითარებელი შეფასების ნაკლებობა;
- დავალებების სიმრავლე;
- დავალებების სირთულე;
- გაცდენების ჭარბი რაოდენობა;

- მოსწავლეთა განწყობა.

შესაძლო ინტერვენციები

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის და მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავეთ სავარაუდო ინტერვენციის რამდენიმე ვარიანტი:

- დღიურის წარმოება მოსწავლის მიერ, სადაც მასწავლებელი ყოველი შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების შემდეგ დაუწერს მას წერილობით კომენტარს.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსწავლეები საშუალო საფეხურზე ნაკლებად აწარმოებენ დღიურებს, განმავითარებელი შეფასების დაფიქსირება მასწავლებელს შეუძლია საშინაო დავალების რვეულებშიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი მოსწავლეთა საქმიანობას ამოწმებს არა მათი მიღწევის დონის განსასჯელად, არამედ მათ დასახმარებლად. ამ პროცესში ჩართულია მოსწავლეც და პედაგოგის დახმარებით ცდილობს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გააზრებას და იღებს რეკომენდაციას მათ გასაუმჯობესებლად. ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელი კომენტარებით დაეხმაროს ბავშვს სწავლის პროცესში. დღიურის შემოღებით შესაძლებელი გახდება სკოლაში ჯანსაღი კლიმატის შექმნა.

- მასწავლებელთა გადამზადება ეფექტიანი წერილობითი განმავითარებელი კომენტარის გაცემასთან დაკავშირებით;
- თანამშრომლობის გაღრმავება მასწავლებლებს შორის;
- მოსწავლეებისათვის შემაჯამებელი სამუშაოს მიზნებისა და შეფასების კრიტერიუმების დროული გაცნობა.

ინტერვენციები/ შეფასება/ რეკომენდაციები

განხორციელებული ცვლილებები

ზემოთ მოცემული ინტერვენციის ვარიანტები კვლევის ჯგუფის წევრებმა განვიხილეთ სხვა კოლეგებთან და ადმინისტრაციასთან. მათი განხილვის შემდეგ შევარჩიეთ და განვახორციელეთ შემდეგი ცვლილებები: 1) დროული წერილობითი განმავითარებელი კომენტარი; 2) თანამშრომლობის გაღრმავება მასწავლებლებს შორის; 3) შემაჯამებელი სამუშაოს მიზნებისა და შეფასების კრიტერიუმების მოსწავლეთათვის დროული გაცნობა.

1. დროული განმავითარებელი კომენტარი, როგორც უკვე ლიტერატურის მიმოხილვაში აღვნიშნეთ, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია როგორც საკუთარი პრაქტიკის, ისე მოსწავლის შედეგების გაუმჯობესების საქმეში. საგნის მასწავლებლები, როდესაც მოსწავლეთა წერით შემაჯამებელ სამუშაოს შეფასებდნენ, პარალელურად ავსებდნენ შემაჯამებელი წერის ანალიზის სარეკომენდაციო ფორმას და 2-3 დღის განმავლობაში მოსწავლეებს აძლევდნენ განმავითარებელ კომენტარს. ამის შედეგად შემცირდა ტიპური შეცდომები. მაგ.: ქართულ ენასა და ლიტერატურაში კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელების - მისი და თავისი - არევა.

2. თანამშრომლობის გაღრმავება მასწავლებლებს შორის, როგორც კვლევის მიგნებებში აღვნიშნეთ, გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს შორის არ ხდება ინფორმაციის ხშირი გაცვლა. მე-11 კლასის სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა რამდენჯერმე მოვაწყეთ სამუშაო შეკრება და გავცვალეთ ინფორმაცია ზემოთხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებით; ვიმსჯელეთ პრობლემის გადაჭრის გზებზე ერთობლივად. გამოიკვეთა, რომ წერითი შემაჯამებელი წერის შედეგებზე ცუდად აისახებოდა, თუნდაც:

- მოსწავლეთა გაცდენები;
- დავალებების სიმრავლე;
- მოსწავლეთა განწყობა.

მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესის გაცდენა სხვადასხვა მიზეზით უწევთ. პირველ რიგში ეს შეიძლება იყოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. გარდა ამისა, ზოგიერთი მოსწავლე აქტიურადაა ჩართული სხადასხვა ღონისძიებებსა თუ სპორტულ შეჯიბრებებში, რის გამოც ზოგჯერ ხანგრძლივად უწევთ გაკვეთილების გაცდენა. სკოლაში დაბრუნების შემდეგ ინდივიდუალური მუშაობაა საჭირო მოსწავლეებთან, რომ გაცდენილი დროის ანაზღაურება შეძლონ.

მოსწავლეებს ხშირ შემთხვევაში არ ჰყოფნით 45 წუთი წერითი სამუშაოს შესასრულებლად. მასწავლებლები ვითვალისწინებთ და მეორე გაკვეთილზე ვუთმობთ დროს სამუშაოს დასასრულებლად. თუმცა, ზოგიერთი მოსწავლე ცდილობს სამუშაო როგორმე მოასწროს ერთ გაკვეთილზე და სისწრაფის გამო მეტ შეცდომას უშვებს. ამიტომ გასათვალისწინებელია წერითი შემაჯამებელი სამუშაოსთვის მასწავლებლებმა შეარჩიონ დროის შესაბამისი დავალებების რაოდენობა. თუმცა, ამასთანავე, მოსწავლეები თანდათან უნდა შევაჩვიოთ წერითი სამუშაოს შესრულებისას დროის ლიმიტის დაცვას, მითუმეტეს მე-11 კლასი, რადგან დროა, რომ თანდათან მოემზადონ ეროვნული გამოცდებისათვის.

წერითი შემაჯამებელი სამუშაოს შესრულებაზე საკმაო ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა განწყობა, მაგ.: დაღლილობა სპორტის შემდეგ, შემაჯამებელი წერის ჩატარება მე-6 გაკვეთილზე და სხვ. შეიძლება გავითვალისწინოთ მოსწავლეთა საერთო თხოვნა და შემაჯამებელი წერა გადავდოთ შემდეგი დღისათვის. ცხადია, ამას არ უნდა მიეცეს სისტემატური ხასიათი.

შემდგომი წერითი შემაჯამებელი სამუშაოების დროს გავითვალისწინეთ მსგავსი პრობლემები და შედეგი მცირედით გაუმჯობესდა.

3. შემაჯამებელი სამუშაოს მიზნებისა და შეფასების კრიტერიუმების მოსწავლეთათვის დროულად გაცნობამ მოსწავლეებს გაუღრმავა მოტივაცია უფრო მეტი სიფრთხილე და ყურადღება გამოეჩინათ წერითი შემაჯამებელი სამუშაოს შესრულებისას. მაგ.: ქართულ ენასა და ლიტერატურაში იკლო სასვენ ნიშნებთან დაკავშირებულმა შეცდომებმა, რაგან მოსწავლეებმა გააანალიზეს, რომ პუნქტუაციურ შეცდომებს ქულის კლება მოჰყვებოდა შედეგად, სამუშაოს დასრულების შემდეგ აღარ დაიზარეს შესრულებული ანალიზისა თუ ესეს კიდევ ერთხელ გადაკითხვა და სასვენი ნიშნების აღდგენა ყველა წინადადებაში. მართალია ზოგიერთ წინადადებაში მოსწავლეებმა უმასთებულოდ ან არასაჭირო მონაკვეთში გამოიყენეს სასვენი ნიშნები, მაგრამ შედეგი ადრინდელთან შედარებით უკეთესი აღმოჩნდა. მომავალში ჩემს მოსწავლეებთან გავაგრძელებ მუშაობას იმ კუთხით, რომ მინიმუმამდე დავიყვანო სასვენი ნიშნების უმართებულოდ გამოყენების შემთხვევები.

4. საწრეო მუშაობამ დადებითი გავლენა იქონია წერითი შემაჯამებელი სამუშაოს შესრულებაზე. ამ ეტაპზე დაიგეგმა და განხორციელდა საწრეო მუშაობა ქართულ ენაში.

წრის მუშაობაში ჩავრთე მე-11 კლასის მოსწავლეები. კვირაში 1 საათი. ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეებს ყურადღება გავამახვილებინე მართლწერის საკითხებზე, როგორც მორფოლოგიაში, ისე სინტაქსში. ასევე, გავიხსენეთ სასვენი ნიშნების გამოყენების წესები. წრის მუშაობაზე, გარდა ინფორმაციის გაცვლა - გამოცვლისა და საკითხების ამომწურავად დამუშავებისა, ვიმუშავეთ:

- ტესტურ დავალებებზე;
- ღია კითხვებზე;
- წინადადებებში გამოტოვებული სიტყვების ჩასმაზე;
- მცირე მოცულობის ტექსტში შეცდომების პოვნასა და გასწორებაზე.

წრის მუშაობა მოსწავლეებს დაეხმარა წინადადებების ენობრივი კუთხით გამართვაში.

რეკომენდაციები

კვლევის ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები წერითი სამუშაოს შედეგების გასაუმჯობესებლად.

რეკომენდაციები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1. საჭიროა თანამშრომლობის გაღრმავება პედაგოგებს შორის:

- მე-11 კლასის სხვადასხვა საგნის პედაგოგებს შორის დაიგეგმოს რეგულარული სამუშაო შეხვედრების გრაფიკი;
- პედაგოგები შეთანხმდნენ, რომ წერით შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარებამდე მოსწავლეებს დროულად გააცნონ შემაჯამებელი წერის მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. ასევე, შემაჯამებელი წერის შეფასების შემდეგ მოსწავლეებს დროულად გაუკეთონ განმავითარებელი კომენტარი.

2. სასურველია, მასწავლებელმა წერითი შემაჯამებელი სამუშაოს დაწყებამდე გაითვალისწინოს მოსწავლეთა მზაობა წერისათვის, კერძოდ, განწყობა, დაღლილობა, გაცდენები და ა. შ.

ინტერვენციის შეფასება

ჩვენი შეფასების მიზანს წარმოადგენდა, გაგვეგო:

- რა იყო წერითი შემაჯამებელი სამუშაოს შესრულებისას მიღებული შედარებით დაბალი შეფასების მიზეზი ზეპირთან შედარებით;
- რამდენად იყო შესაძლებელი პრობლემის აღმოფხვრა მე-11 კლასის სხვადასხვა საგნის პედაგოგის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე;
- რა შედეგი გამოიღო წერით სამუშაოს შესრულებამდე მოსწავლეებისათვის შეფასების მიზნებისა და კრიტერიუმების გაცნობამ;
- რა შედეგი გამოიღო პრობლემის აღმოსაფხვრელად დაგეგმილმა დროულმა განმავითარებელი შეფასების მიწოდებამ მოსწავლეებისათვის;
- იმოქმედა თუ არა მოსწავლეთა მზაობის (განწყობა, დაღლილობა, გაცდენები და ა. შ.) გათვალისწინებამ შემაჯამებელი წერის შედეგებზე.

პედაგოგთა შორის გამოცდილების გაზიარების კუთხით, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, დაგვედგინა იქონია თუ არა გავლენა პედაგოგების მუშაობაზე მათი პრობლემების კოლეგებთან განხილვამ. ამისთვის ჩავატარეთ ფოკუსჯგუფი მასწავლებლებთან. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რაც მასწავლებლებმა კვლევის ჯგუფის წევრებთან საუბარში აღნიშნეს. მათი თქმით, გამოცდილების გაზიარების შემდეგ ბევრი დეტალი, რომელიც აქამდე ბუნდოვანი ეჩვენებოდათ, უფრო ნათელი გახდა. სამუშაო შეხვედრების ანალიზი დაგვეხმარა იდეების სტრუქტურებაში.

მასწავლებელთა გადასამზადებლად გატარებული ინტერვენციის შესაფასებლად განვახორციელეთ ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილებზე (თითოეული მასწავლებლის 2-2 გაკვეთილი, ჯერძოდ, შემაჯამებელი წერის შედეგების გაცნობა და განმავითარებელი კომენტარების მიცემა მოსწავლეებისათვის; მათ აღმოსაფხვრელად ჩატარებული მუშაობა).აღმოჩნდა, რომ მასწავლებლების მიერ გაცემული უკუკავშირი

ამჯერად გაცილებით უფრო ზუსტი და განმავითარებელი იყო, ვიდრე კვლევის მონაცემების შეგროვების ეტაპზე. ასევე მოხდა მოსწავლეთა რვეულებში გაკეთებული წერილობითი კომენტარების ანალიზი, რომელიც კვლევის საწყის ეტაპთან შედარებით გაცილებით გაუმჯობესებული იყო. თუ საწყის ეტაპზე კომენტარები შემოიფარგლებოდა შექებით ან პრობლემის მხოლოდ დასახელებით, ამჯერად მასწავლებლის მიერ გაკეთებულ წერილობით კომენტარებში გვხვდება პრობლემის გადაჭრის გზები. შექების შემთხვევაში კი აღნიშნული იყო კონკრეტულად რა გამოუვიდა კარგ მოსწავლეს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მოსწავლეებმა უკეთ გააანალიზეს საკუთარი შეცდომები, უფრო ფრთხილად და ყურადღებით შეუდგნენ წერითი შემაჯამებელი სამუშაოს შესრულებას და მართალია, წერითი შემაჯამებელი წერის შედეგები მთლიანად ვერ გაუტოლდა ზეპირმეტყველების შედეგებს, მაგრამ საკმაოდ გაუმჯობესდა.

რეფლექსია/ კოლეგებთან გაზიარება

დასკვნა

სკოლაში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე (კვლევა მოიცავდა პრობლემის შესწავლის, ცვლილების დაგეგმვა-განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს). შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წერითი შემაჯამებელი სამუშაოს დაბალი შეფასების მიზეზებია:

- პედაგოგთა შორის ინფორმაციის ნაკლებობა;
- წერითი კომენტარის გამოყენების დაბალი სიხშირე და კომენტარების არაეფექტურობა;
- მოსწავლეთა გაცდენები;
- დავალებების სიმრავლე;
- მოსწავლეთა განწყობა.

კოლეგებისთვის გაზიარება

პრაქტიკული კვლევის განხორციელების შემდეგ მიღებული შედეგების გაზიარება საინტერესო ეტაპი აღმოჩნდა როგორც ჩემთვის, ასევე ჩემი კოლეგებისათვის. პედაგოგებს გადავეცი პრაქტიკული კვლევის როგორც ელექტრონული, ისე ამობეჭდილი ვერსია (მათი ინტერესის გათვალისწინებით).

კვლევის პრეზენტაციის დღედ განვსაზღვრეთ 2018 წლის 8 ივნისი /14:30 სთ/. კოლეგებს გავაცანი კვლევის შედეგები და შეფასების მიზნით ვთხოვე კითხვარის შევსება. წარმოგიდგენთ მათ უკუკავშირს:

1. პრაქტიკული კვლევის განხორციელება მნიშვნელოვანი და საჭირო ქმედებაა მასწავლებლის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. იგი ხელს უწყობს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენას და მათი მოგვარების გზების ძიებას.

2. მასწავლებლის საქმიანობაში პრაქტიკული კვლევის განხორციელება აუცილებელია. იგი ეხმარება მასწავლებელს პროფესიული საქმიანობის უკეთ წარმართვაში. თქვენი კვლევა საინტერესო და აქტუალურია. იგი დაეხმარება მოსწავლეებს დაკისრებული დავალებების უკეთ შესრულებაში. ასევე მასწავლებლებს მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდაში.

3. ეს პრობლემა აქტუალურია ყველა კლასში, ამიტომ მეტოდებისა და მიგნებების გამოყენება გააუმჯობესებს შემაჯამებელი წერის შედეგებს ყველა საფეხურის მოსწავლეებში.

4. ვფიქრობ, რომ კვლევა საინტერესოა, თანმიმდევრული და ზუსტად ასახავს არსებულ რეალობას.

5. მასწავლებლისათვის პრაქტიკული კვლევა მნიშვნელოვანია. ის ხელს უწყობს არსებული პრობლემის იდენტიფიცირებას, გადაჭრის გზების ძიებასა და მიგნებების დანერგვას. ასევე, კოლეგებისათვის გაზიარებას. კვლევაში სრულად არის მოცემული, რომ შემაჯამებელი წერა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტივობაა მოსწავლეთა შეფასების საქმეში. კვლევის შედეგები დახმარებას გაუწევს ყველა დაინტერესებულ პირს.

გავითვალისწინებ მათ მოსაზრებებს, დავაკვირდები კლასს მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისიდანვე და შევეცდები ყველა ქმედითი ნაბიჯი დავაფუძნო მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს.

კვლევის ბიბლიოგრაფია

1. სტატია: „შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზისთვის“, - ავტორი მ.ინასარიძე/ ჟურნალი„მასწავლებელი“-17ოქტომბერი,2014 წელი; http://www.mastsavlebeli.ge/?p=1986

2. სტატია: „შემაჯამებელი სამუშაოს ფორმა და ანალიზი”, - ავტორი ლომიძე/ ჟურნალი„მასწავლებელი“-15 მარტი,2017 წელი;www.mastsavlebeli.ge

დანართები

დანართი 1 - კითხვარი მასწავლებლებისათვის

მოგესალმებით!

კლასის საჭიროებიდან გამომდინარე, საჭიროა, ვაწარმოოთ პრაქტიკული კვლევა შემაჯამებელი წერის ქულების გასაუმჯობესებლად ზეპირმეტყველებასთან შედარებით. თქვენი, როგორც ამ კლასის სხვა საგნების პედაგოგების, მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისათვის.

- წერითი შემაჯამებელი სამუშაოს დაწყებამდე, ყოველთვის აცნობთ თუ არა მოსწავლეებს შეფასების მიზნებსა და კრიტერიუმებს?
    - დიახ
    - არა
- რა სიხშირით აძლევთ განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეებს?
    - ყოველთვის
    - ზოგჯერ
    - არასოდეს
- რა ფორმით აძლევთ მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას წერითი შემაჯამებელი სამუშაოს შემდეგ?
    - წეპირი კომენტარით
    - წერილობითი კომენტარით
    - არ ვაძლევ კომენტარს
- რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ ქულასთან ერთად მოსწავლისთვის განმავითარებელი შეფასების გაკეთება?
    - ძალიან მნიშვნელოვნად
    - მეტნაკლებად მნიშვნელოვნად
    - უმნიშვნელოდ

გმადლობთ მონაწილეობისათვის!

დანართი 2 - კითხვარი მოსწავლეებისათვის

მოგესალმებით!

საჯარო სკოლის პედაგოგები ვატარებთ პრაქტიკულ კვლევას შემაჯამებელი წერის ქულების გასაუმჯობესებლად ზეპირმეტყველებასთან შედარებით. თქვენი მონაწილეობა მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისათვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია. არაა საჭირო კითხვარზე სახელისა და გვარის მითითება.

- როგორ ფიქრობთ, რა გიშლით ხელს შემაჯამებელი წერის უკეთესად შესრულებაში?
  - სისწრაფე
  - დროის სიმცირე
  - საკლასო გარემო
  - გაცდენები
  - ზერელე ცოდნა
  - სხვა ----------
- რომელი დავალების შესრულებაა თქვენთვის უფრო რთული?
  - ტესტირება
  - ღია კითხვები
  - ესე
  - ანალიზი
  - შეცდომების პოვნა ტექსტში
  - უპოვეთ სწორი შესატყვისობა
  - სხვა ----------
- რაში გეხმარებათ განმავითარებელი შეფასება?
  - უკეთესად შევასრულო შემდგომი წერით შემაჯამებელი სამუშაო
  - არაფრის მომცემია, უბრალოდ დროის დაკარგვაა
- რის შეცვლას ისურვებდით წერითი შემაჯამებლის ფორმაში?

გმადლობთ მონაწილეობისათვის!